

შპს მეცნიერებათა სკოლა

მისამართი: ქ. გორი, გორგასლის ქ. N1<sup>ა</sup>

ინდექსი: 1400

ელ-ფოსტა: [schoolofscience.gori@gmail.com](mailto:schoolofscience.gori@gmail.com)



School of science LLC

Address: 1a, Gorgasali str., Gori

p/index: 1400

E-mail: [schoolofscience.gori@gmail.com](mailto:schoolofscience.gori@gmail.com)

Tel: 0(370)270556;

ქ. გორი

08.06.2023 წ.

## ბრძანება N 01-41

„შპს მეცნიერებათა სკოლის სტრატეგიული განვითარების ექვსწლიანი გეგმის დამტკიცების შესახებ“ შპს მეცნიერებათა სკოლის დირექტორის 2019 წლის 13 თებერვლის N09 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის და შპს მეცნიერებათა სკოლის წესდების საფუძველზე,

### ვბრძანებ:

- შევიდეს ცვლილება „შპს მეცნიერებათა სკოლის სტრატეგიული განვითარების ექვსწლიანი გეგმის დამტკიცების შესახებ“ შპს მეცნიერებათა სკოლის დირექტორის 2019 წლის 13 თებერვლის N09 ბრძანების სათაურში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:  
„შპს მეცნიერებათა სკოლის სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი (2023-2030წ.წ.) გეგმის დამტკიცების შესახებ“
- შევიდეს ცვლილება „შპს მეცნიერებათა სკოლის სტრატეგიული განვითარების ექვსწლიანი გეგმის დამტკიცების შესახებ“ შპს მეცნიერებათა სკოლის დირექტორის 2019 წლის 13 თებერვლის N09 ბრძანებაში და ბრძანებით დამტკიცებული დანართი შეიცვალოს ახალი თანდართული დანართით.
- ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე;
- ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში გორის რაიონულ სასამართლოში (მის.: ქ. გორი, სერგო ჯორბენაძის N30).

შპს მეცნიერებათა  
სკოლის დირექტორი



ეკატერინე სუხიშვილი

## შპს მეცნიერებათა სკოლა

### სტრატეგიული განვითარების გეგმა 2023-2030წ.წ.

#### შესავალი

სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმა სკოლის მისიიდან და სკოლის სტრატეგიული მიზნებიდან გამომდინარეობს და კონკრეტული ამოცანების გადაჭრას ისახავს მიზნად. სკოლის განვითარებისათვის აუცილებელია - სკოლის სტრატეგიის ფორმულირება, რომელშიც გაცხადებული იქნება სკოლის მიდგომა და ხედვა, რომელსაც ირჩევს დასახული მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად და გათვლილია შვიდწლიან პერიოდზე. მასში ასახულია სკოლის გრძელვადიანი მიზნები და ამოცანები, მიზნების მიღწევის გზები, შესრულებაზე პასუხისმგებელი პირი/პირები, დასახული მიზნების რეალიზების ვადები, საშუალებები და მისი შედეგები.

სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმის რეალიზება შესაძლებელია შიდა და გარე ფაქტორების გათვალისწინებითა და ობიექტური ანალიზით. შესაბამისად, სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმის გადახედვა უნდა მოხდეს პერიოდულად.

#### გეგმა შედგება შემდეგი ინფორმაციისგან:

- სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;
- მისია;
- ხედვა;
- სტრატეგიული მიმართულებები, პრიორიტეტები;
- დროში გაწერილი განსახორციელებელი ღონისძიებები;

#### სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია

სტრატეგიული გეგმა გათვლილი და გაწერილია შვიდწლიან პერიოდზე. მისი გადახედვა ხდება საჭიროებისამებრ. სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში სკოლა იცავს ძირითად სამოქმედო პრინციპებს, კერძოდ:

- გუნდური მუშაობა
- თანამონაწილეობა
- გამჭვირვალობა

სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმის შემუშავების პროცესის წარმართვაზე პასუხისმგებელია სკოლის დირექტორი. იგი უზრუნველყოფს კომუნიკაციას სკოლის სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულთან, საჭირო ინფორმაციის შეგროვებაზე და სხვა.

სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმის შემუშავების პროცესის წარმატებით წარმართვის მიზნით, დირექტორის ბრძანებით იქმნება სამუშაო ჯგუფი, რომელიც პასუხისმგებელია სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმის პროექტის შემუშავებაზე. აღნიშნული სამუშაო ჯგუფში ერთვება სკოლის სტრუქტურული ერთეულები/თანამშრომლები. ჯგუფი აფასებს სკოლის საჭიროებებს და მათი ანალიზის საფუძველზე შეიმუშავებს განვითარების სტრატეგიულ გეგმას.

### მისია

მეცნიერებათა სკოლა ასრულებს ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებითა და ეროვნული სასწავლო გეგმით დასახულ ამოცანებს და თავის მისიად მიიჩნევს მოსწავლეებს მისცეს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების პრობლემაზე ორიენტირებულ სწავლებაზე დაფუძნებული ცოდნა, თანამედროვე ტექნოლოგიების ეფექტურად გამოყენებით, რომელიც განუვითარებს მათ კვლევის უნარ-ჩვევებს, გაუღვიძებს ინტერესს გარემომცველი სამყაროს შესწავლის, აღმოჩენების გაკეთების, გაცნობიერების კუთხით. სკოლა ჩამოუყალიბებს მოსწავლეებს მაღალმოქალაქეობრივ შეგნებასა და დემოკრატიულ ღირებულებებს. აღნიშნული საშუალებას მისცემს მათ იყვნენ წარმატებულნი ნებისმიერ დარგში, საზოგადოებრივი საქმიანობის ნებისმიერ სფეროში, მიღებული ცოდნა გამოიყენონ როგორც პროფესიული წარმატებისათვის, ასევე საზოგადოების სასიკეთოდ.

### ხედვა

#### ხედვა:

- მოსწავლეები შეძლებენ უცხო და პრობლემურ საკითხებზე ინფორმაციის მოძიებას, მის კრიტიკულ ანალიზს, კონსტრუქციული დასკვნის გაკეთებასა და გადაწყვეტილების მიღებას;

- საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საფუძვლების სწავლებით მოსწავლეებს გამოუმუშავდებათ შემეცნებითი უნარები, გაუღვივდებათ ინტერესი ახალი ინფორმაციის მოძიებისა და ცოდნის დამოუკიდებლად გამდიდრებისათვის
- მიღებული ცოდნა და უნარ-ჩვევები მოსწავლეებისათვის საწინდარი იქნება სწავლის შემდგომ საფეხურებზე წარმატებით გასაგრძელებლად და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩასართველად.

**ღირებულებები:**

- გუნდურობა - გუნდურ მუშაობაზე ორიენტირებული ჯგუფი;
- მოქნილობა - გამოწვევების ეფექტური მართვა;
- ხარისხზე ორიენტირება - ადგილობრივ და საერთაშორისო შრომის ბაზარზე მოთხოვნილი ხარისხი;
- თანამშრომლობა - ღიაა თანამშრომლობა დაინტერესებულ მხარეებთან;
- გამჭვირვალობა - ღია და საჯარო მიდგომები სკოლაში მიმდინარე ყველა პროცესში;
- სამართლიანობა - სკოლაში მიღებული გადაწყვეტილებები, ყველა დაინტერესებული მხარის უფლებებისა და მოსაზრებების გათვალისწინებით, ეყრდნობა სამართლიან არგუმენტებს და გადაწყვეტილების მიღების ობიექტურ კრიტერიუმებს;
- სოციალური პასუხისმგებლობა - სკოლა ითვალისწინებს საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფის საჭიროებებს, მოსწავლეების, მშობლების და თანამშრომლების აქტიური ჩართულობით, წვლილი შეაქვს ქვეყნის განვითარებაში, სოციალური, ეკონომიკური და ეკოლოგიური პრობლემების მოგვარებაში.

**სტრატეგიული მიმართულებები**

**პოზიტიური სასწავლო გარემო**

სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას მნიშვნელოვანია უზრუნველყოფილ იქნას პოზიტიური სასწავლო გარემო, რომელიც შექმნის ოპტიმალურ პირობებს თითოეული მოსწავლის ნიჭისა და უნარის სრულყოფილად გამოსავლენად. პოზიტიური სასწავლო გარემო გულისხმობს მოსწავლეზე ორიენტირებულ, მეგობრულ, კეთილგანწყობილ და უსაფრთხო ატმოსფეროს, სადაც მნიშვნელოვანია მოსწავლის მიერ მიღებული შედეგი, რომელიც მიიღწევა კვალიფიციური მასწავლებლების მიერ მოსწავლისათვის თანამედროვე ტექნოლოგიებითა და მეთოდებით მიწოდებული ინფორმაციის ცოდნად გარდაქმნის გზით. პოზიტიური სასწავლო გარემოს ცნების

განუყოფელი ნაწილია ურთიერთთანამშრომლობისა და ურთიერთპატივისცემის პრინციპებზე დამყარებული ურთიერთობები საგანმანათლებლო პროცესში ჩართულ ყველა რგოლს შორის.

### **კვალიფიციური კადრები**

თანამედროვე მოთხოვნების უზრუნველყოფისათვის აუცილებელია კვალიფიციური კადრების მოზიდვა და მათი შენარჩუნება, ზრუნვა მასწავლებლებისა და სხვა თანამშრომლების პროფესიულ განვითარებაზე, რაც ყველაზე ეფექტური მაშინაა, როდესაც ის უწყვეტ პროცესს წარმოადგენს. ამ მიმართულებით სკოლა გეგმავს ტრენინგებს, მათ აქტივობებს, შეხვედრებს, სადაც მოხდება გამოცდილებისა და ცოდნის, ასევე, თანამედროვე სწავლების სტრატეგიების ურთიერთგაზიარება.

### **ტექნოლოგიები, სწავლების თანამედროვე მეთოდები და პარტნიორებთან თანამშრომლობა**

სკოლა აქტიურად გეგმავს სასწავლო პროცესში ტექნოლოგიების და თანამედროვე სწავლების სტრატეგიების/მიდგომების გამოყენებას. აღნიშნული მიზნით უზრუნველყოფილი იქნება მატერიალური რესურსი, რომელიც მუდმივად განახლდება. ასევე, სასწავლო პროგრამებში იგეგმება ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ინტეგრირება. სკოლის ამოცანაა მომდევნო 7 წლის განმავლობაში წარმატებულად დანერგოს სწავლების თანამედროვე მეთოდები, სრულფასოვნად გამოიყენოს ხელმისაწვდომი და თავად შექმნას ინტერნეტ სასწავლო რესურსები.

### **სკოლის ინფრასტრუქტურის განვითარება და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფა**

სკოლა მუდმივად ზრუნავს სასწავლო გარემოს, სკოლის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას და სრულყოფას. აღნიშნული მიზნით, სისტემატურად ხდება სასკოლო რესურსის, საჭიროებისამებრ განახლება და შექმნა.

### **სტრატეგიული მიზანები**

**სკოლის მიერ დასახული სტრატეგიული მიმართულებების უზრუნველყოფისათვის დასახულია**

### **8 სტრატეგიული მიზანი**

1. სკოლის ინფრასტრუქტურის განვითარება და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფა
2. საზოგადოების მართვასთან დაკავშირებული საორგანიზაციო საკითხები/პროცედურები და სასწავლო პროცესთან დაკავშირებული დოკუმენტაცია
3. სასწავლო და სააღმზრდელო პროცესის მუდმივი განვითარება

4. ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარება
5. მშობელთა ჩართულობა სასწავლო-აღმზრდელობით პროცესში
6. უსაფრთხო და ორგანიზებული გარემო
7. პარტნიორებთან თანამშრომლობა, კავშირების დამყარება და მუდმივი განვითარება
8. მოსწავლეთა მხარდაჭერა.

### არსებული ვითარების ანალიზი

<p><b>ძლიერი მხარეები</b></p> <ol style="list-style-type: none"> <li>1. თანამშრომლობითი გარემო;</li> <li>2. მრავალფეროვანი სასწავლო რესურსები;</li> <li>3. მრავალფეროვანი დამატებითი საგანმნათლებლო და სააღმზრდელო მომსახურეობა;</li> <li>4. უსაფრთხო სასკოლო-სასწავლო გარემო;</li> <li>5. მოსწავლეთა და პედაგოგთა მხრიდან განსხვავებული აზრის და კულტურის პატივისცემა;</li> <li>6. კვალიფიციური პერსონალი;</li> <li>7. პროფესიულ განვითარებაზე ორიენტირებული თანამშრომლები;</li> <li>8. სოციალური პასუხისმგებლობა;</li> <li>9. სკოლის შენობა;</li> <li>10. ინფრასტრუქტურა;</li> </ol>	<p><b>სუსტი მხარეები:</b></p> <ol style="list-style-type: none"> <li>1. სკოლის თანამშრომლების გენდერული ბალანსი</li> <li>2. კვალიფიციური კადრების, განსაკუთრებით მასწავლებლების გადინება სკოლიდან</li> <li>3. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა;</li> </ol>
<p><b>შესაძლებლობები</b></p>	<p><b>რისკები</b></p>

- თანამშრომლობის გაძლიერება ახალი ერთობლივი სასწავლო, პრაქტიკული და გამოყენებითი პროექტების განხორციელების მიზნით;
- ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება (ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება) ;
- თანამშრომლობა პროფესიულ და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან;
- ურთიერთთანამშრომლობა საქართველოს საჯარო და კერძო სკოლებთან
- მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით, მათი შესაძლებლობების მაქსიმალური გამოვლენისათვის, გამჭოლი კომპეტენციების მიხედვით უნარების განვითარებისათვის სასწავლო, სკოლის, რეგიონალური პროექტების განხორციელება; სხვადასხვა ოლიმპიადებში მონაწილეობა;
- მოსწავლეებისა და მასწავლებლების მიერ ერთობლივად სასწავლო რესურსების შექმნა;
- ინტერაქტიული სწავლების მეთოდების გამოყენება სასწავლო პროცესში – ინტეგრირებული გაკვეთილები
- საზაფხულო და ზამთრის შემეცნებითი ბანაკები

- არასტაბილური სოციალური და ეკონომიკური გარემო.
- კონკურენციის ზრდა საგანმანათლებლო სივრცეში.
- რეგიონის საგანმანათლებლო სივრცეში კვალიფიციური კადრების ნაკლებობა.

## 2023-2030 წლების (შვიდწლიანი) სტრატეგიული განვითარების გეგმა

სტრატეგიული მიზანი - 1. სკოლის ინფრასტრუქტურის განვითარება და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფა

სტრატეგიული მიზანი - 1. სკოლის ინფრასტრუქტურის განვითარება და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფა																	
N	მიზნის მიღწევის გზები	განსახორციელებელი აქტივობები	პასუხისმგებელი პირი/პირები ან/და სტრუქტურული ერთეულები	I წელი		II წელი		III წელი		IV წელი		V წელი		VI წელი		VII წელი	
				2023	2024	2024	2025	2025	2026	2026	2027	2027	2028	2028	2029	2029	2030
1.1	ტექნოლოგიური ბაზის განახლება/ გაუმჯობესება	ტექნოლოგიური ბაზის გაძლიერების საჭიროებების დადგენა, დაგეგმვა, შესაბამისი შესყიდვების განხორციელება	დირექტორი, ბუღალტერი, ისტ მასწავლებელი		✓		✓		✓		✓		✓		✓		✓
1.2	სასკოლო ინვენტარის განახლება-შეძენა	სასკოლო ინვენტარის სისტემატური შემოწმება და განახლება- შეძენის საჭიროებების დადგენა	დირექტორი, ბუღალტერი,	✓		✓		✓		✓		✓		✓		✓	
1.3	სპეციალური საჭიროების მქონე პირთათვის ადაპტირებული გარემოს გაუმჯობესება	საჭიროებების კვლევა და სპეციალური საჭიროების მქონე პირთათვის ადაპტირებული გარემოს გასაუმჯობესებლად დამატებითი ფინანსური რესურსების გამოყოფა	დირექტორი, ბუღალტერი, ფსიქოლოგი				✓				✓						



1.4	მიმდინარე სარემონტო სამუშაოების განხორციელება	საჭიროებების კვლევა, ფინანსების გამოყოფა და სარემონტო სამუშაოების დაგეგმვა	დირექტორი, ბუღალტერი	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓
1.5	სამედიცინო კაბინეტის პერიოდული შევსება პირველადი დახმარებისათვის აუცილებელი პრეპარატებით	საჭიროებების კვლევა, ფინანსების გამოყოფა და შესყიდვის დაგეგმვა	დირექტორი, ბუღალტერი, ექიმი	✓		✓		✓		✓		✓		✓		✓		✓
1.6	სასწავლო რესურსებისა და საბიბლიოთეკო წიგნადი ფონდის შექმნა, განახლება	საჭიროებების კვლევა, ფინანსების გამოყოფა და შესყიდვის დაგეგმვა	დირექტორი, ბუღალტერი, ბიბლიოთეკარი	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓
1.7	საკლასო ოთახების თვალსაჩინოებითა და სხვა საჭირო ინვენტარით აღჭურვა, საგანმანათლებლო ელექტრონული რესურსების მოძიება/გამოყენება	საჭიროებების კვლევა, ფინანსების გამოყოფა და შესყიდვის დაგეგმვა	დირექტორი, ბუღალტერი, მასწავლებლები, დამრიგებლები	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓

სტრატეგიული მიზანი - 2. საზოგადოების მართვასთან დაკავშირებული საორგანიზაციო საკითხები/პროცედურები და სასწავლო პროცესთან დაკავშირებული დოკუმენტაცია

სტრატეგიული მიზანი - 2. საზოგადოების მართვასთან დაკავშირებული საორგანიზაციო საკითხები/პროცედურები და სასწავლო პროცესთან დაკავშირებული დოკუმენტაცია										
N	მიზნის მიღწევის გზები	განსახორციელებელი აქტივობები	პასუხისმგებელი	I წელი	II წელი	III წელი	IV წელი	V წელი	VI წელი	VII წელი



	ცვლილების შეტანა და დახვეწა	პროექტის მომზადება																
2.7	საჭიროების შემთხვევაში, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის სპეციალური პროგრამის შემუშავება და დახვეწა	საჭიროების კვლევა, პროგრამის შემუშავება	დირექტორი, სასწავლო პროცესის მენეჯერი, ფსიქოლოგი	✓														
2.9	მოსწავლეების მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან ხელშეკრულებების გაფორმება	მომსახურების ხელშეკრულები პროექტების შემუშავება	დირექტორი, საქმისმწარმოებელი	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓
2.10	სადამრიგებლო პროგრამების შემუშავება, განახლება-დახვეწა	გამოცდილების ურთიერთგაზიარება, არსებული დოკუმენტაციის და ინფორმაციის გადახედვა	სასწავლო პროცესის მენეჯერი დამრიგებლები	✓	✓		✓		✓		✓		✓		✓			✓
2.11	სკოლის პოპულარიზაციის მიზნით სარეკლამო კამპანიის წარმოება	ბაზარზე არსებული ვითარების შესწავლა, კონკურენტებთან მიმართებით უპირატესობების იდენტიფიცირება, სარეკლამო კამპანიის დაგეგმვა	დირექტორი, სასწავლო პროცესის მენეჯერი	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓

სტრატეგიული მიზანი - 3. სასწავლო და სააღმზრდელო პროცესის მუდმივი განვითარება



3.4	სამოქალაქო ცნობიერების ჩამოყალიბება	საუბრები, ლექციები, პროექტები სამოქალაქო ცნობიერების შესახებ: სამართლიანობა და კანონის უზენაესობა; დემოკრატიული ღირებულებები; საქართველოსა და სხვა ქვეყნების კულტურა და ტრადიციები; ზოგადსაკაცობრიო ღირებულებები; საქართველოს ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესები; ადამიანური ღირსებები და თანასწორობა;	დირექტორი სასწავლო პროცესის მენეჯერი, მასწავლებლები	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓
3.5	გაკვეთილებზე დასწრება და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება	გაკვეთილებზე დასწრების გრაფიკის შემუშავება, შეფასების ფორმის შემუშავება	სასწავლო პროცესის მენეჯერი, კათედრის ხელმძღვანელები	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓
3.6	მოსწავლეთა მიღწევების დინამიკის შესწავლა და პერიოდულად მონიტორინგის ჩატარება	არსებული მდგომარეობის ანალიზი, საჭიროებების კვლევა	სასწავლო პროცესის მენეჯერი, დამრიგებლები	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓
3.7	მოსწავლის შეფასებისა და გაკვეთილზე დასწრების აღრიცხვის	საჭიროებების ანალიზი, რეკომენდაციების	დირექტორი,	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓















